

# შპს “ისტ გეით გრუპ“

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება და კონსოლიდირებული ფინანსური  
ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

# სარჩევი

|                                                          |   |
|----------------------------------------------------------|---|
| დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება                        |   |
| მმართველობის ანგარიშგება                                 | 1 |
| მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 2 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                       | 3 |
| კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება                          | 4 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება                   | 5 |

## განმარტებითი შენიშვნები

|     |                                                   |    |
|-----|---------------------------------------------------|----|
| 1.  | კორპორაციული ინფორმაცია                           | 6  |
| 2.  | მომზადების საფუძველი                              | 7  |
| 3.  | მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები               | 8  |
| 4.  | მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები  | 12 |
| 5.  | ინვესტიცია მეკავშირე საწარმოებში                  | 13 |
| 6.  | შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | 14 |
| 7.  | ხელფასები და სხვა სარგებელი                       | 15 |
| 8.  | საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                 | 15 |
| 9.  | სხვა საოპერაციო შემოსავალი                        | 16 |
| 10. | სხვა საოპერაციო ხარჯი                             | 16 |
| 11. | ფინანსური ხარჯი                                   | 16 |
| 12. | ფინანსური შემოსავალი                              | 17 |
| 13. | ფული და ფულის ექვივალენტები                       | 17 |
| 14. | სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                        | 17 |
| 15. | სესხები                                           | 18 |
| 16. | კაპიტალი                                          | 19 |
| 17. | ძირითადი საშუალებები                              | 20 |
| 18. | სასაქონლო-მატერიალური მარაგები                    | 21 |
| 19. | სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                     | 21 |
| 20. | პირობითი ვალდებულებები                            | 22 |
| 21. | ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან              | 23 |
| 22. | საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები         | 24 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

### დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

#### აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების, კერძოდ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილის - საქმიანობის მიმოხილვის ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჩვენი აუდიტის საფუძველზე შემდეგ ფინანსურ უწყისებზე: სპეციალური დანიშნულების 2017 წლის მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსურ მდგომარეობაზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალის მოძრაობაზე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შენიშვნები სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენ ვატარებთ აუდიტს, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. სტანდარტები მოითხოვს ჩვენგან ეთიკურ ქცევას დაგეგმვისა და აუდიტის შესრულების მომენტში, რათა გამოვთქვათ სანდო მოსაზრება იმის შესახებ, არის თუ არა მატერიალური შეცდომები ფინანსურ უწყისებში.

აუდიტი მოიცავს პროცედურებს, რომლებიც ემსახურება აუდიტორული მტკიცებულების მოძიებას ფინანსურ უწყისებსა და განმარტებით შენიშვნებზე. პროცედურების განხორციელება დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, აღმოაჩინოს ფაქტობრივი რისკები ფინანსურ უწყისებში, იქნება ეს შეცდომა თუ თაღლითობა. რისკების შეფასების პროცესში, აუდიტორი განიხილავს შიდა კონტროლის არსებობას ფინანსური უწყისების მომზადების პროცესში და ამის შემდეგ გეგმავს პროცედურებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებზე მოსაზრების გამოსათქმელად, და არა შიდა კონტროლის შესაფასებლად. აუდიტორი ასევე აფასებს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობას, მენეჯმენტის საბუღალტრო შეფასების გონივრულობას და ბოლოს - ფინანსური უწყისების წარდგენის წესს.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაბამისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

#### პირობითი მოსაზრების საფუძველი

2017 წლის აპრილში შპს ისტ გეით გრუპმა გაყიდა მეკავშირე კომპანია შპს „სიემეი სიჯიმ საქართველო“ თავისთან დაკავშირებულ კომპანია შპს „ისტ გეით ჰოლდინგზე“.

იმის გამო, რომ ანგარიშგების თარიღისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია აღნიშნული მეკავშირე კომპანიის გაყიდვის თარიღით არსებული საბალანსო ღირებულების საფუძველიანი შეფასება და ასევე, იმის გამო, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია 2017 წლის განმავლობაში კომპანიის საკუთრებაში არსებული პერიოდის შესაბამისი მოგების წილის გაანგარიშება, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას აღნიშნული გაყიდვის ტრანზაქციიდან მიღებული მოგების შესახებ და ასევე არ გამოვთქვამთ მოსაზრებას შპს „სიემეი სიჯიმ საქართველო“ მოგების წილის შესახებ. ასევე არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნაზე „ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან“.

თუმცა, ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას სხვა მინორიტარი საწარმოს, შპს „თეთრი ქალაქი პლუსი“-ის მოგების წილის შესახებ, რამდენადაც ეს აღნიშნულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 5. „ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში“.

### **პირობითი მოსაზრება**

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს არსებითი ასპექტების გათვალისწინებით.

გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითი ასპექტების გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდისთვის (2017 წელი) და არ გამოვთქვამთ მოსაზრებას სხვა პერიოდებთან მიმართებაში, მათ შორის არც 2016 წელზე.

### **მნიშვნელოვანი გარემოებები**

ჯგუფის ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები და განმარტებითი შენიშვნები მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული წლიური ანგარიშგებები მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნის შესაბამისად და წარმოადგენს სპეციალური დანიშნულებით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომელზეც დამატებითი განმარტებები გაკეთებულია მომზადების საფუძვლის შესახებ - მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

### **მენეჯმენტისა და მეწილეებისთვის:**

ჩვენ ჩავუტარეთ აუდიტი ჯგუფის ფინანსურ უწყისებს, რომლებიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის: მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს.

### **მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ანგარიშგების მიმართ:**

მენეჯმენტი ვალდებულია, მოამზადოს და წარადგინოს ფინანსური უწყისები ფასს-თან შესაბამისობაში. მენეჯმენტი ვალდებულია შეიმუშავოს, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლები, რომლებიც ახდენენ შეცდომებისა და თაღლითობის თავიდან არიდებასა და აღმოჩენას.

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

გიორგი ხუციშვილი (რეგ. SARAS-A-520853)

30 სექტემბერი 2018

თბილისი, საქართველო

**ATA**financial  
Audit

[www.atapartners.ge](http://www.atapartners.ge)

+995 032 243 22 81 

[office@atapartners.ge](mailto:office@atapartners.ge) 

11 St Afakidze , 0171, Tbilisi, Georgia 

### პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს არსებითი ასპექტების გათვალისწინებით.

გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის ნაწილში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითი ასპექტების გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდისთვის (2017 წელი) და არ გამოვთქვამთ მოსაზრებას სხვა პერიოდებთან მიმართებაში, მათ შორის არც 2016 წელზე.

### მნიშვნელოვანი გარემოებები

ჯგუფის ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები და განმარტებითი შენიშვნები მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული წლიური ანგარიშგებები მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნის შესაბამისად და წარმოადგენს სპეციალური დანიშნულებით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომელზეც დამატებითი განმარტებები გაკეთებულია მომზადების საფუძველის შესახებ - მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

### მენეჯმენტისა და მეწილეებისთვის:

ჩვენ ჩავუტარეთ აუდიტი ჯგუფის ფინანსურ უწყისებს, რომლებიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის: მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს.

### მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ანგარიშგების მიმართ:

მენეჯმენტი ვალდებულია, მოამზადოს და წარადგინოს ფინანსური უწყისები ფასს-თან შესაბამისობაში. მენეჯმენტი ვალდებულია შეიმუშავოს, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლები, რომლებიც ახდენენ შეცდომებისა და თაღლითობის თავიდან არიდებასა და აღმოჩენას.

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

გიორგი ხუციშვილი (რეგ. SARAS-A-520853)

30 სექტემბერი 2018

თბილისი, საქართველო



**ATAfinancial**  
Audit

[www.atapartners.ge](http://www.atapartners.ge)

+995 032 243 22 81

[office@atapartners.ge](mailto:office@atapartners.ge)

11 St Afakidze , 0171, Tbilisi, Georgia

## მმართველობის ანგარიშგება

### საქმიანობის მიმოხილვა

“ისთ გეით გრუპი” არის შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანია, რომელიც დაარსებულია საქართველოში 1997 წლის 9 ივნისს.

შპს „ისთ გეით გრუპის“ (შემდგომში “კომპანია”) იურიდიული მისამართია: თბილისი, ჩიქობავას ქუჩა #24. კომპანიის მმართველობის ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრები არიან: ირაკლი იაშვილი, მიხეილ იაშვილი და რევაზ ლეჟავა. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა ირაკლი იაშვილი.

შპს „ისთ გეით გრუპი“ პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობს მაკონტროლებელ და არა-მაკონტროლებელ წილს საქართველოს კანონმდებლობით მოქმედ საწარმოების ჯგუფში ( შემდგომში „ჯგუფი“).

ჯგუფში გაერთიანებული კომპანიები არიან: შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“, შპს „ისთ გეით ენერჯი“, შპს „უნი სერვის ჯორჯია“, შპს „ენკი“, რომელსაც ასევე აქვს მაკონტროლებელი წილი საწარმო შპს „ფშაველაში“. ჯგუფს ასევე აქვს არა-მაკონტროლებელი წილი საწარმო შპს „თეთრი ქალაქი პლუსიში“ (შემდგომში „მეკავშირე საწარმო“). ასევე 2017 წლის 4 აპრილამდე ჯგუფის დაკავშირებული იურიდიული პირი იყო შპს „სიემეი სიჯიემი საქართველო“ (ასევე „მეკავშირე საწარმო“). კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. გარდა აღნიშნულისა, ჯგუფის შემოსავლის წყაროებია ასევე: ჰიდროელექტროსადგურის გაქირავება.

ჯგუფში შემავალი კომპანიებიდან ყველაზე მსხვილი შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“, რომელშიც შპს „ისთ გეით გრუპი“ 63%-იან წილს ფლობს. დანარჩენი, 37%-ის წილის მფლობელები არიან: გია ოქრუაშვილი -17%, თამარ მელია 10%, ირაკლი მელია 10%. კომპანია დაარსდა 2004 წლის 7 ივნისს შპს „არგოს“-ს რეორგანიზაციის შედეგად. შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“ ოპერაციები ძირითადად სატვირთო გადაზიდვების სფეროდანაა. კომპანიის მომსახურება მოიცავს:

- ტვირთის მიწოდება ფოთის ტერმინალიდან დანიშნულების ადგილამდე
- ტვირთების შეგროვება სხვადასხვა დატვირთვის ადგილიდან
- ნებისმიერი სახის ტვირთების ტრანსპორტირება სატვირთო ავტომობილების სრული და ნაწილობრივი დატვირთვით (FTL, LTL)
- მძიმეწონიანი და არაგაბარითული ტვირთების ტრანსპორტირება
- სახიფათო და მალფუჭებადი ტვირთების გადაზიდვა, ტემპერატურული რეჟიმის მქონე ავტომობილებით
- საყოფაცხოვრებო და პირადი ნივთების ტრანსპორტირება
- ტვირთის აწონვა, აწევა/დაწევა
- სატერმინალო მომსახურება
- შიდა გადაზიდვები ქვეყნის მასშტაბით

იურიდიული მისამართია: ფოთი, კოკაიას ხეივანი #1. კომპანიას სხვა ფილიალი არ აქვს თუმცა ჰყავს წარმომადგენლობა ქ. თბილისის სარკინიგზო-საკონტეინერო ტერმინალზე.

მიუხედავად ბაზარზე არსებული კონკურენციისა, ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი დარგის ერთ-ერთი კონკურენტუნარიანი კომპანიაა. 2017 წლის აგვისტოდან კომპანიამ დაამატა იმპორტირებული ავტომობილების კონტეინერებიდან გამოყვანა/დაცულ ტერიტორიაზე განთავსების მომსახურება, რამაც განაპირობა შემოსავლების ზრდა.

ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთს აქვს ზრდის საკმაო პოტენციალი, რაშიც დაეხმარება ტერმინალის ტერიტორიაზე არსებული აუთვისებული ტერიტორიები და ტექნიკა. მენეჯმენტის მიზანი კომპანიის მომსახურებების კიდევ უფრო გაფართოებაა.

შპს „ისტ გეით ენერჯის“ 100%-ის მფლობელი შპს ისტ გეით გრუპია. შპს „ისტ გეით ენერჯის“ ძირითადი საქმიანობა ბიზნესისა და მართვის საკითხებში კონსულტაციის გაწევაა. 2017 წლის საანგარიშგებო წელს კომპანიას ოპერაციები არ ჰქონია.

შპს „უნი სერვის ჯორჯია“ ჯგუფში შემავალი კომპანიაა, რომლის 80 %-იან წილს ფლობს შპს „ისტ გეით გრუპი“, ხოლო 20%-ის მფლობელია ნატალია ბერელაშვილი-ნასიძე; კომპანიის ეკონომიკური საქმიანობა მოიცავს მძიმე ავტოსატრანსპორტო საშუალებების რემონტს. 2017 წლის განმავლობაში მომსახურება გაუწია შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთს“. შპს „უნი სერვისის“ მომსახურების თვითღირებულება შეადგენს შესაკეთებელი ნაწილების ღირებულებას, რომელთა შესყიდვაც უკრაინაში ხდება.

შპს „ენკის“ 50%-იან წილს ფლობს შპს „ისტ გეით გრუპი“, მისი საქმიანობის სფერო სარემონტო-სამშენებლო მომსახურების გაწევაა, თუმცა 2017 წლის განმავლობაში კომპანია ეკონომიკურად არააქტიური იყო. შპს „ენკი“ 100%-იან წილს ფლობს შპს „ფშაველაში“, რომელიც 2013 წელს დაარსდა და რომლის ძირითადი საქმიანობის სფერო ელექტროენერგიის მომპოვებელი ჰიდრო-ელექტროსადგურის გაქირავებაა. შპს „ფშაველას“ დუშეთის მუნიციპალიტეტისგან იჯარით აქვს აღებული მიწა სოფელ ჟინვალთან ახლოს, სადაც მდებარეობს მიერ მიერ აშენებული ჰიდრო-ელექტროსადგური. მიმდირე საანგარიშგებო წელს ჰესი ნაქირავები აქვს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნერს“, რომელიც იხდის იჯარის თანხას გამომუშავებული ელექტროენერგიის კილოვატ-საათების მიხედვით.

ჯგუფს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე ჰყავდა მეკავშირე საწარმო შპს „თეთრი ქალაქი პლუსის“ სახით. კომპანია დაარსებულია 2004 წლის 24 მაისს. შპს „ისტ გეით გრუპი“ არ აკონტროლებს მის საქმიანობას. შპს „თეთრი ქალაქი პლუსი“ ფლობს და აქირავებს კომერციულ ფართებს სავაჭრო ცენტრ „კიდობანში“. გარდა ამისა, მისი შემოსავლის ერთ-ერთი წყარო სავენტილაციო სისტემების რეალიზაციაა. შპს „თეთრი ქალაქი პლუსის“ მაკონტროლებელი წილის მფლობელები არიან: შპს „მისანი“ – 27%, შპს „თეთრი ქალაქი“ – 25%, ირაკლი იაშვილი - 1.3%, მიხეილ იაშვილი - 0.95%, რევაზ ლეჟავა - 2.25%, კონსტანტინე მესხი - 0.5%.

ჯგუფი მომავალში გეგმავს გააგრძელოს მუშაობა არსებული ბიზნეს მოდელით. აღნიშნული მოდელიდან გამომდინარე, კომპანიის ოპერირების რისკები ძირითადად ეკონომიკური მდგომარეობასთანაა კავშირში. პოლიტიკური რისკების გარდა არსებობს რიგი რისკებისა, რომლებიც თითოეულ კომპანიაზე განსხვავებულად იმოქმედებს, მაგალითად, ანაკლიის პორტის გახსნამ შესაძლოა სერიოზული ეკონომიკური საფრთხე შეუქმნას ჯორჯიან ტრანს ექსპედიციას, რომელიც თავის მხრივ დააზარალებს შპს „უნი სერვის ჯორჯიასაც“.

შპს „ისტ გეით გრუპი“

**მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                         | შენიშვნები | 2017         |
|-----------------------------------------|------------|--------------|
| შემოსავალი                              | 6          | 6,821        |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება     | 6          | (2,178)      |
| <b>საერთო მოგება</b>                    |            | <b>4,643</b> |
| ხელფასები და სხვა სარგებელი             | 7          | (1,217)      |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები       | 8          | (1,509)      |
| ცვეთის ხარჯი                            | 17         | (1,038)      |
| უიმედო ვალების ხარჯი                    | 14         | (367)        |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი              | 9          | 245          |
| სხვა საოპერაციო ხარჯი                   | 10         | (623)        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                |            | <b>134</b>   |
| ფინანსური ხარჯი                         | 11         | (1,067)      |
| ფინანსური შემოსავალი                    | 12         | 15           |
| კურსთაშორისი ზარალი                     |            | (287)        |
| მოგების წილი მეკავშირე საწარმოებიდან    | 5          | 1,571        |
| <b>მოგება მოგების გადასახადამდე</b>     |            | <b>366</b>   |
| მოგების გადასახადი                      |            | -            |
| <b>წმინდა მოგება, განკუთვნილი:</b>      |            | <b>366</b>   |
| - საკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის    |            | 195          |
| - არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის |            | 171          |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2018 წლის 30 სექტემბერს

დავით დავითიძე  
გენერალური დირექტორი

შპს „ისტ გეით გრუპი“

კონსოლიდირებული მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                         | შენიშვნები | 2017         |
|-----------------------------------------|------------|--------------|
| შემოსავალი                              | 6          | 6,821        |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება     | 6          | (2,178)      |
| <b>საერთო მოგება</b>                    |            | <b>4,643</b> |
| ხელფასები და სხვა სარგებელი             | 7          | (1,217)      |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები       | 8          | (1,509)      |
| ცვეთის ხარჯი                            | 17         | (1,038)      |
| უიმედო ვალების ხარჯი                    | 14         | (367)        |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი              | 9          | 245          |
| სხვა საოპერაციო ხარჯი                   | 10         | (623)        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                |            | <b>134</b>   |
| ფინანსური ხარჯი                         | 11         | (1,067)      |
| ფინანსური შემოსავალი                    | 12         | 15           |
| კურსთაშორისი ზარალი                     |            | (287)        |
| მოგების წილი მეკავშირე საწარმოებიდან    | 5          | 1,571        |
| <b>მოგება მოგების გადასახადამდე</b>     |            | <b>366</b>   |
| მოგების გადასახადი                      |            | -            |
| <b>წმინდა მოგება, განკუთვნილი:</b>      |            | <b>366</b>   |
| - საკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის    |            | 195          |
| - არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის |            | 171          |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2018 წლის 30 სექტემბერს

დავით დავითიძე  
გენერალური დირექტორი

**კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

*თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

|                                                             | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2017 | 1 იანვარი<br>2017 |
|-------------------------------------------------------------|----------|----------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                                             |          |                      |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                                |          |                      |                   |
| ძირითადი საშუალებები                                        | 17       | 18,634               | 16,914            |
| ინვესტიცია მეკავშირე საწარმოებში                            | 5        | 1,133                | 1,109             |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები                             |          | 18                   | 6                 |
| არამატერიალური აქტივები                                     |          | 10                   | 11                |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                            |          | <b>19,795</b>        | <b>18,040</b>     |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                                   |          |                      |                   |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები                              | 18       | 373                  | 525               |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                  | 14       | 995                  | 3,228             |
| ფული და ფულის ექვივალენტები                                 | 13       | 520                  | 742               |
| მისაღები პროცენტები                                         |          | -                    | 226               |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                               |          | <b>1,888</b>         | <b>4,721</b>      |
| <b>სულ აქტივები</b>                                         |          | <b>21,683</b>        | <b>22,761</b>     |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>                            |          |                      |                   |
| <b>კაპიტალი</b>                                             | 16       |                      |                   |
| საწესდებო კაპიტალი                                          |          | 1,320                | 5,277             |
| გაუნაწილებელი მოგება                                        |          | 2,819                | 2,624             |
| სხვა რეზერვები                                              |          | (42)                 | -                 |
| <b>სულ კაპიტალი განკუთვნილი ჯგუფის<br/>მფლობელებისათვის</b> |          | <b>4,097</b>         | <b>7,901</b>      |
| არამაკონტროლებელი წილი                                      |          | 2,238                | 2,218             |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                         |          | <b>6,335</b>         | <b>10,119</b>     |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                           |          |                      |                   |
| გრძელვადიანი სესხები                                        | 15       | 14,525               | 11,916            |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                       |          | <b>14,525</b>        | <b>11,916</b>     |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                              |          |                      |                   |
| გადასახდელი გადასახადები                                    |          | 5                    | 28                |
| მოკლევადიანი სესხები                                        | 15       | 429                  | 4                 |
| სესხის გადასახდელი პროცენტი                                 |          | 60                   | 98                |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                               | 19       | 329                  | 596               |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                          |          | <b>823</b>           | <b>726</b>        |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>                        |          | <b>21,683</b>        | <b>22,761</b>     |

შპს „ისტ გეიტ გრუპი“

**კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება**

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                     | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | არამაკონტროლებელი<br>წილი | სხვა<br>რეზერვები | სულ კაპიტალი  |
|-------------------------------------|-----------------------|----------------------|---------------------------|-------------------|---------------|
| <b>ნაშთი 2017 წლის 1 იანვარი</b>    | <b>5,277</b>          | <b>2,624</b>         | <b>2,218</b>              | -                 | <b>10,119</b> |
| მოგება წლის გამავლობაში             | -                     | 195                  | 171                       | -                 | 366           |
| კაპიტალის შემცირება                 | (4,202)               | -                    | -                         | -                 | (4,202)       |
| კაპიტალის ზრდა                      | 245                   | -                    | -                         | -                 | 245           |
| დივიდენდების გამოცხადება            | -                     | -                    | (292)                     | -                 | (292)         |
| ენკის წილის გაყიდვა                 | -                     | -                    | 141                       | (42)              | 99            |
| <b>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>1,320</b>          | <b>2,819</b>         | <b>2,238</b>              | <b>(42)</b>       | <b>6,335</b>  |

**კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                                        | 2017           |
|--------------------------------------------------------|----------------|
| <b>საოპერაციო საქმიანობა</b>                           |                |
| მოგება მოგების გადასახადამდე                           | 366            |
| <b>კორექტირებები:</b>                                  |                |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი                          | 1,038          |
| უიმედო ვალების ხარჯი                                   | 367            |
| შემოსავალი/ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან        | (360)          |
| ძირითადი საშუალები ჩამოწერა                            | 8              |
| დაკავშირებული მხარის მოგების წილი                      | (1,571)        |
| ფინანსური ხარჯი                                        | 1,067          |
| ფინანსური შემოსავალი                                   | (15)           |
|                                                        | <b>900</b>     |
| <b>კორექტირებები:</b>                                  |                |
| ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში                 | 1,866          |
| ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში              | 152            |
| ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში              | (267)          |
| ცვლილებები მისაღებ პროცენტებში                         | 226            |
| ცვლილებები გადასახადებთან დაკავშირებულ ვალდებულებებში  | (23)           |
| ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში             | (12)           |
| ცვლილებები სხვა აქტივებში                              | 1              |
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>        | <b>2,843</b>   |
| <b>საინვესტიციო საქმიანობა</b>                         |                |
| ძირითადი საშუალების შესყიდვა                           | (2,978)        |
| ძირითადი საშუალების გაყიდვა                            | 164            |
| მიღებული პროცენტები                                    | 15             |
| დაკავშირებული მხარიდან მიღებული დივიდენდები            | 1,595          |
| არაკონტროლირებადი წილის გაყიდვიდან მიღებული თანხა      | 99             |
| საწესდებო კაპიტალის გაზრდა                             | 245            |
| საწესდებო კაპიტალის შემცირება                          | (4,202)        |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>      | <b>(5,062)</b> |
| <b>ფინანსური საქმიანობა</b>                            |                |
| სესხის აღება                                           | 14,598         |
| სესხის დაფარვა                                         | (11,582)       |
| გადახდილი პროცენტები                                   | (1,087)        |
| გადახდილი დივიდენდები                                  | (292)          |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>         | <b>1,637</b>   |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტების ნაზრდი</b>             | <b>(582)</b>   |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში</b> | <b>742</b>     |
| <b>უცხოურ ვალუტასი არსებული სესხების გადაფასება</b>    | <b>360</b>     |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>      | <b>520</b>     |

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

*თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული***1. კორპორაციული ინფორმაცია**

ისტ გეით გრუპი (შემდგომში „მშობელი კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, დაფუძნებული 1997 წლის 9 ივნისს. ორგანიზაცია შეიქმნა შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიციის რეფორმაციის საფუძველზე. კომპანია ოპერირებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, და ასევე, ფლობს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ოპერირებულ კომპანიებს (შემდგომში მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“).

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი ეკუთვნით და კომპანიის მფლობელები არიან:

- რევაზ ლეჟავა - 32%
- ირაკლი იაშვილი - 33%
- მიხეილ იაშვილი - 23%
- კონსტანტინე მესხი - 12%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არასაცხოვრებელი ფართების გაქირავება და ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტირებული და დაფუძნებული კომპანიების მართვა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რ-ნ, ჩიქობავას ქ. N24.

ჯგუფის მმართველობისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები და სპეციალური დანიშნულების განმარტებითი შენიშვნები მომზადებულია შემდეგი კონტროლირებადი საწარმოების (შემდგომში შვილობილი საწარმოების) ფინანსური ანგარიშგების და ასევე მოგების წილის შემდეგი არაკონტროლირებული ინვესტირებული საწარმოდან (შემდგომში მეკავშირე საწარმო):

| შვილობილი კომპანია                  | წილი კომპანიაში | კომპანიის საქმიანობის არეალი | საქმიანობის სფერო                       |
|-------------------------------------|-----------------|------------------------------|-----------------------------------------|
| შპს „ისტ გეით ენერჯი“               | 100%            | საქართველო                   | არ ახორციელებს ოპერაციებს               |
| შპს „ისტ გეით აგრო“                 | 100%            | საქართველო                   | სასოფლო-სამეურნეო                       |
| შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“ | 63%             | საქართველო                   | სატერმინალ მომსახურება                  |
| შპს „ისტ გეით ფარმა“                | 100%            | საქართველო                   | არ ახორციელებს ოპერაციებს               |
| შპს „უნი სერვის ჯორჯია“             | 80%             | საქართველო                   | მძიმე სატრანსპორტო საშუალებების რემონტი |
| შპს „ისტ სისტემს“                   | 100%            | საქართველო                   | არ ახორციელებს ოპერაციებს               |
| შპს „ენკი“                          | 50%             | საქართველო                   | არ ახორციელებს ოპერაციებს               |
| შპს „ფშაველა“                       | 50%             | საქართველო                   | ელ. ენერგიის გამომუშავება               |
| შპს „ისტ გეით სისტემს“              | 62,26%          | საქართველო                   | არ ახორციელებს ოპერაციებს               |
| შპს „უნი-პრო“                       | 58%             | საქართველო                   | არ ახორციელებს ოპერაციებს               |
| შპს „ტრანსაგრო“                     | 60%             | საქართველო                   | არ ახორციელებს ოპერაციებს               |

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

*თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

---

### 2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია მომზადდა ჯგუფის მიერ ფასის შესაბამისად, ფასს 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების“ დანერგვის ხელშეწყობის მიზნებისთვის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

ფასს 1 სტანდარტის მიხედვით ჯგუფი პირველი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მინიმუმ ორი საანგარიშგებო პერიოდისთვის ამზადებს შემდეგ ანგარიშგებებს: მოგება-ზარალის ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება, ასევე, მინიმუმ სამი საანგარიშგებო პერიოდისთვის - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, შესაბამისად მზადდება განმარტებითი შენიშვნებიც. თუმცა, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მიხედვით ჯგუფს აქვს უფლება გამოსცეს მხოლოდ საანგარიშგებო წლის პერიოდის (ამ შემთხვევაში 2017 წელი) მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებები და ორი პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ამ შემთხვევაში 2017 წლის საწყისი და საბოლოო პერიოდები).

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია მომზადდა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაყენებლად, ჯგუფისთვის ფასს-ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის“ მიხედვით დანიშნულებისამებრ წარსადგენად. ჯგუფის ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ მოიცავს შედარებით ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდებისათვის.

ფინანსური უწყისები მომზადებულია ისტორიული ფასების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

#### 3.1 უცხოური ვალუტა

ლარი არის შპს „ისტ გეით გრუპის“ მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები აღირიცხება ამ ტრანზაქციის განხორციელების დღეს არსებული კურსით, რომლისთვისაც გამოიყენება ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი.

#### 3.2 კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით

ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ჰყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

#### 3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

##### 3.3.1 აღიარება და შეფასება

ჯგუფი ძირითად საშუალებებს აღიარებს როგორც ინდივიდუალურ აქტივებს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლით და ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. თუ ჯგუფის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები, მათი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მოითხოვენ შეკეთებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნული ხარჯები აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში.

ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აქტივის ამოღებიდან (გამოითვლება, როგორც განსხვავება შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აღირიცხება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ხდება აქტივის ამოღება.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

### 3.3.2 ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები

თუ ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯი გამოიწვევს ამ საშუალებისგან მიღებული შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს დანახარჯი ზრდის ამ აქტივის ღირებულებას. თუ დანახარჯი აუცილებელია, რათა შენარჩუნდეს ან აღდგეს აქტივის არსებული მდგომარეობა, მაშინ ეს ხარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

### 3.3.3 ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდებოდა შემცირებადი ნაშთის მეთოდით, ხოლო 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდიდან შეიცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა და ამ პერიოდიდან ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

|                          |            |
|--------------------------|------------|
| შენობა ნაგებობები        | 25-50 წელი |
| მანქანა-დანადგარები      | 5-15 წელი  |
| სატრანსპორტო საშუალებები | 5-10 წელი  |
| სხვა                     | 1-5 წელი   |

## 3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვის, და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, შეძენილი აქტივები კლასიფიცირდება როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები და აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

დანახარჯები, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად აღრიცხულია შემდეგნაირად:

- თვითღირებულების ხარჯი ე.წ. საშუალო შეწონილი მეთოდით
- მზა პროდუქცია და წარმოების პროცესში არსებული მარაგი:
- პირდაპირი დანახარჯები, როგორცაა ნედლეულის და შრომის ხარჯი. აგრეთვე საწარმოო ზედნადები ხარჯების პროპორცია ნორმალური საწარმოო სიმძლავრის მიხედვით, მაგრამ ღირებულებაში არ შევა სესხთან დაკავშირებული ხარჯები.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით

## 3.5 შემოსავალი

შემოსავლები აღიარდება მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ჯგუფს ექნება ეკონომიკური სარგებელი და ეს შემოსავლები შეიძლება განისაზღვროს საიმედოდ. მიუხედავად იმისა, როდის მოხდება გადახდა. შემოსავლების განსაზღვრა ხდება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

## 3.6 გადასახადები

### 3.6.1 მოგების გადასახადი

მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ ან ვალდებულებასთან გასაქვით თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება საგადასახადო განაკვეთები და კანონები, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კანონმდებლობით გათვალისწინებული რეინვესტირებული მოგების გადასახადის განაკვეთი 0%-ს შეადგენს, თუმცა მოგების განაწილებისას გადასახდელი გადასახადი 15%-ის ტოლია.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

---

### მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკები (გაგრძელება)

#### 3.6 გადასახადები (გაგრძელება)

##### 3.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლები, ხარჯები და აქტივები აღიარდება დღგ-ს გარეშე წმინდა ღირებულებით, გარდა:

- იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების ან მომსახურების შეძენისას გაწეული გაყიდვების გადასახადი არ არის ამოღებული საგადასახადო ორგანოდან, ამ შემთხვევაში, გაყიდვების გადასახადი აღიარებულია აქტივის შეძენის ღირებულების ან ხარჯების ნაწილად.
- ვალდებულებები და მოთხოვნები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

დამატებული ღირებულების გადასახადის თანხები, რომლებიც მისაღებია ან გადასახდელია საგადასახადო ორგანოსთვის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება როგორც ვალდებულება ან მოთხოვნა.

#### 3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისაგან.

#### 3.8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსავლების ღირებულების მიხედვით, საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით.

#### 3.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, შემდგომ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

#### 3.10 სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ჯგუფი აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით, სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

### 3.8 ახალი სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში. ზემოთ აღნიშნულიდან სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს ჯგუფის საოპერაციო საქმიანობაზე. ჯგუფი გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების ასახვას მათი ძალაში შესვლისთანავე.

#### ფას 9

2014 წლის ივლისში ბასს-მა გამოსცა ფას (IFRS) 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ - საბოლოო ვერსია, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს (IAS) 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფას (IFRS) 9 ყველა წინა ვერსია. ფას 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფას 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით. 2017 წლის ივლისის გამოქვეყნებული ფას 9 ჩაანაცვლებს არსებულ მეთოდურ მითითებებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ფას 9 მოიცავს განახლებულ მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების გასაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ ზოგად მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-იდან მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტაზე. ფას 9 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ადრეული დანერგვა დაშვებულია. 2018 წელს ჯგუფი შეაფასებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფას 9-ის პოტენციურ გავლენას.

#### ფას 15

ფას 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფას 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 შემოსავალი, ბასს 11 სამშენებლო ხელშეკრულებები და ფას 13 კლიენტების ლოიალურობის პროგრამები. ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ ორგანიზაცია აღიარებს შემოსავალს, რათა ასახოს დანაპირები საქონლის ან კლიენტებისთვის მომსახურების გადაცემა იმ თანხით, რომელსაც ორგანიზაცია მოელის საქონლის ან მომსახურების გაცვლიდან. ახალი სტანდარტი ითვალისწინებს ახსნა-განმარტებებს შემოსავლის შესახებ, მოიცავს მეთოდურ მითითებებს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც ადრე არ იყო განხილული სრულად და ასევე ხდება გაუმჯობესება იმ შეთანხმებებისთვის, რომლებიც მოიცავენ მრავალ ელემენტებს. ფას 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. მისი დროზე ადრე დანერგვა ნებადართულია. 2018 წელს ჯგუფი შეაფასებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფას 9-ის პოტენციურ გავლენას.

#### ფას 16

ფას 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), IFRIC 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), SIC 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და SIC 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას). იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორ სააღრიცხვო პრინციპს, რომლებიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღრიცხავ საოპერაციო ლიზინგს. მეიჯარის აღრიცხვა არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. მეიჯარეები განაგრძობენ ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფას 16 მოქმედებს ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფას 15-იც (შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან). 2018 წელს ჯგუფი შეაფასებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფას 16-ის პოტენციურ გავლენას.

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე. გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდებში.

#### სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი სამხილი გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი.

ჯგუფის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 436 ლარის ოდენობის გაუფასურების რეზერვი არის სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების საუკეთესო შეფასება.

ჯგუფი ჰყოფს სავაჭრო მოთხოვნებს ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით და საკუთარი ისტორიულ შედეგებზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით, თითოეულ კატეგორიას უყენებს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვს.

კომპანია ჰყოფს სავაჭრო მოთხოვნებს ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით და საკუთარი ისტორიულ შედეგებზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით, თითოეულ კატეგორიას უყენებს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვს. 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილების მქონე მოთხოვნებს არეზერვებს კომპანიების მიხედვით შემდეგი დიაპაზონით: 0%-1%-ით, 30-90 დღიანი შუალედით არსებული ვადაგადაცილების მქონე მოთხოვნებს არეზერვებს 20%-ით, 90-120 დღიანი ვადაგადაცილების მქონე მოთხოვნებს - 50%-ით, ხოლო 120 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე მოთხოვნებს არეზერვებს სრულად. აღნიშნული პროცენტები ეფუძნება კომპანიის ისტორიულ გამოცდილებას, რომელიც მუდმივად ექვემდებარება გადახედვას (წელიწადში ერთხელ მაინც).

#### ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება ეფუძნება ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მიღებული გამოცდილების შესაბამისად. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ ცვეთას და იმ გარემოს, სადაც აქტივის გამოყენება ხდება. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილება იწვევს მომავალი ცვეთის ნორმების კორექტირებას.

შპს „ისტ გეით გრუპი“

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

### 5. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოებში

2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მშობელი კომპანია ფლობდა 43%-იან წილს შპს „თეთრი ქალაქი პლუსში“, ასევე, 2017 წლის 4 აპრილამდე ფლობდა წილს შპს სიემეი სიჯიემ საქართველოში:

| მეკავშირე საწარმო კომპანია     | ჯგუფის წილი<br>კომპანიაში 2017<br>წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით | ჯგუფის წილი<br>კომპანიაში 2017 წლის<br>1 იანვრის<br>მდგომარეობით | ძირითადი საქმიანობის<br>სფერო                 |
|--------------------------------|---------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------|
| შპს „სიემეი სიჯიემ საქართველო“ | -                                                                   | 20%                                                              | ტრანსპორტირების სხვა<br>დამხმარე საქმიანობები |
| შპს „თეთრი ქალაქი პლუსი“       | 43%                                                                 | 43%                                                              | არასაცხოვრებელი<br>ფართობების გაქირავება      |

ინვესტიციების ღირებულება 2017 წლის განმავლობაში გამოუმუშავებული მოგების წილი მეკავშირე საწარმოებთან იყო შემდეგი:

| მეკავშირე საწარმო კომპანია        | ჯგუფის წილის<br>ნაწილი 2017 წლის 31<br>დეკემბრის<br>მდგომარეობით | ჯგუფის წილის<br>ღირებულება 2017<br>წლის 1 იანვრის<br>მდგომარეობით | მეკავშირე<br>საწარმოს მოგება<br>2017 წლის<br>განმავლობაში | ჯგუფის წილი<br>მოგება 2017<br>წლის<br>განმავლობაში |
|-----------------------------------|------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------|----------------------------------------------------|
| შპს „სიემეი სიჯიემ<br>საქართველო“ | -                                                                | 6                                                                 | -                                                         | 449                                                |
| შპს „თეთრი ქალაქი პლუსი“          | 1,133                                                            | 1,103                                                             | 2,608                                                     | 1,122                                              |

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

**6. შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება**

|                                     | 2017 წლის<br>31 დეკემბრით<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|-------------------------------------|-------------------------------------------------------|
| შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან | 6,749                                                 |
| სხვა შემოსავალი                     | 72                                                    |
| <b>სულ შემოსავალი</b>               | <b>6,821</b>                                          |

ჯგუფი ახორციელებს მრავალპროფილიან საქმიანობას. ჯგუფი საოპერაციო შემოსავლებს იღებს შემდეგი საქმიანობებიდან: არასაცხოვრებელი ფართების გაქირავებიდან.

ფართების გაქირავებისას კომპანია კლიენტთან ადგენს ხელშეკრულებებს, რომელშიც სახელშეკრულებლო ვალუტა არის დოლარი. ანაზღაურება ხორციელდება საავანსო გადახდებით, ხოლო გაცვლითი კურსი გაიანგარიშება წინა თვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საშუალო შეწონილი კურსის მიხედვით.

ჯგუფის შემოსავლების უმეტესი ნაწილი მოდის შვილობილი კომპანიების ეკონომიკური საქმიანობიდან. შპს „ფშველას“ დუშეთის მუნიციპალიტეტისგან იჯარით აქვს აღებული მიწა სოფელ ჭინვალთან ახლოს, სადაც ჰიდროელექტროსადგურის აგრებატია. მიმდირე საანგარიშგებო წელს ჰესი თავისი მუშა პერსონალით ნაქირავები ჰქონდა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“, რომლის იჯარის თანხაც განისაზღვრება გამომუშავებული ელექტროენერგიის კილოვატ-საათების გამრავლებით ელექტროენერგეტიკური სისტემის კომერციული ოპერატორის („ესკოს“) მიერ დადგენილ ტარიფზე.

ჯგუფის კიდევ ერთი შემოსავლის წყარო სატერმინალო მომსახურება ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს: ტვირთების საბაჟოდან ტერმინალამდე და ტერმინალიდან დანიშნულების ადგილის მიხედვით ტრანსპორტირებას. ამ საქმიანობას ახორციელებს შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“.

|                           | 2017 წლის<br>31 დეკემბრით<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|---------------------------|-------------------------------------------------------|
| ხელფასები                 | 1,673                                                 |
| ტრანსპორტირების ხარჯები   | 454                                                   |
| სხვა საოპერაციო ხარჯები   | 51                                                    |
| <b>სულ თვითღირებულება</b> | <b>2,178</b>                                          |

რეალიზებული საქონლის ღირებულება ძირითადად დაკავშირებულია შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“ საოპერაციო საქმიანობასთან, ტვირთების გადაზიდვის სისტემასთან.

თვითღირებულება აგრეთვე მოიცავს კომპანიის მიერ საოპერაციო საქმიანობისთვის უშუალოდ ჩართული მუშახელის ხელფასსა და დაზღვევას. თვითღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ტვირთების ფოთის პორტიდან ტერმინალამდე ტრანსპორტირების მომსახურების ხარჯი.

შპს „ისტ გეით გრუპი“

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

### 7. ხელფასები და სხვა სარგებელი

|                                        | 2017 წლის<br>31 დეკემბრით<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|----------------------------------------|-------------------------------------------------------|
| ხელფასები                              | 1,159                                                 |
| სხვა სარგებელი (ა)                     | 58                                                    |
| <b>სულ ხელფასები და სხვა სარგებელი</b> | <b>1,217</b>                                          |

(ა) სხვა სარგებელი წარმოადგენს თანამშრომელთა დაზღვევის ხარჯებს.

2017 წლის განმავლობაში ჯგუფში საშუალოდ სრულ განაკვეთზე დასაქმებული ყავდა 206 თანამშრომელი, საიდანაც მშობელი კომპანიის შპს „ისტ გეით გრუპის“ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა 32 ადამიანი.

### 8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2017 წელს საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს ჰქონდა შემდეგი სტრუქტურა:

|                                              | 2017 წლის<br>31 დეკემბრით<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|----------------------------------------------|-------------------------------------------------------|
| რემონტისა და შეკეთების ხარჯი                 | 489                                                   |
| საგადასახადო ხარჯი                           | 190                                                   |
| დაცვის ხარჯი                                 | 178                                                   |
| საწვავ-საპოხი მასალების ხარჯი                | 144                                                   |
| კომუნალური ხარჯი                             | 117                                                   |
| საკონსულტაციო ხარჯი                          | 106                                                   |
| ქონების დაზღვევის ხარჯი                      | 70                                                    |
| კომუნიკაციის ხარჯი                           | 41                                                    |
| ოფისის ხარჯი                                 | 35                                                    |
| იჯარის ხარჯი                                 | 17                                                    |
| ბანკის მომსახურების ხარჯი                    | 10                                                    |
| მივლინების ხარჯი                             | 9                                                     |
| სხვა ხარჯები                                 | 103                                                   |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>1,509</b>                                          |

2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფის საერთო და ადმინისტრაციულმა ხარჯებმა შეადგინა 1,509 ლარი, ხარჯების ძირითადი ნაწილი შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთისა“ და შპს „ისტ გეით გრუპის“ ხარჯებს მოიცავს. წლის განმავლობაში რემონტისა და შეკეთებაზე დაიხარჯა 489 ლარი, რომელიც უმეტესად დაკავშირებულია შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთის“ ძირითადი საშუალებების რემონტთან. ჯგუფის საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს იურიდიული, აუდიტორულ და სხვა მომსახურების ხარჯებს.

შპს „ისტ გეით გრუპი“

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

### 9. სხვა საოპერაციო შემოსავალი

2017 წლის განმავლობაში ჯგუფს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გარდა ჰქონდა სხვა საოპერაციო შემოსავლებიც:

|                                       | 2017 წლის 31 დეკემბერი |
|---------------------------------------|------------------------|
| საიჯარო შემოსავლები                   | 80                     |
| შემოსავლები ჯარიმებიდან               | 17                     |
| სხვა შემოსავლები                      | 148                    |
| <b>სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი</b> | <b>245</b>             |

მიუხედავად იმისა, რომ მშობელი კომპანიის ძირითადი საოპერაციო შემოსავლები მოიცავს ქონების იჯარით გაცემიდან მიღებულ შემოსავლებს, ჯგუფის ერთერთ კომპანიის (შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთის“) სხვა საოპერაციო შემოსავლებში ხვდება საიჯარო შემოსავლები, რადგან ეს მისი ძირითადი საქმიანობა არ არის.

### 10. სხვა საოპერაციო ხარჯი

2017 წლის განმავლობაში ჯგუფს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული ხარჯების გარდა ჰქონდა სხვა საოპერაციო ხარჯებიც:

|                                    | 2017 წლის 31 დეკემბერი |
|------------------------------------|------------------------|
| ბარტერიდან მიღებული ზარალი (ა)     | 430                    |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერა     | 72                     |
| სხვა ხარჯები                       | 121                    |
| <b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯები</b> | <b>623</b>             |

(ა) კომპანიამ მოახდინა 2017 წელს შპს „Hizli Tahsilat“ არსებული მოთხოვნების (2,170 ლარის) ჩამოწერა და სანაცვლოდ მიიღო მიწა კახეთში (1,740 ლარის ღირებულების). აღნიშნული ბარტერის საფუძველზე 2017 წელს კომპანიამ აღიარა შესაბამისი ზარალი.

### 11. ფინანსური ხარჯი

|                                          | 2017 წლის<br>31 დეკემბრით<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|------------------------------------------|-------------------------------------------------------|
| სესხებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი | 1,067                                                 |
| <b>სულ ფინანსური ხარჯი</b>               | <b>1,067</b>                                          |

სესხებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი სრულად წარმოადგენს ბანკებისგან აღებული სესხის საპროცენტო ხარჯს. უცხოურ ვალუტაში აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი არის საშუალოდ 7%-ის ფარგლებში, ეროვნულ ვალუტაში აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი 2017 წლის განმავლობაში იყო საშუალოდ 14%.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

**12. ფინანსური შემოსავალი**

|                                 | 2017 წლის<br>31 დეკემბრით<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|---------------------------------|-------------------------------------------------------|
| ფინანსური შემოსავალი            | 15                                                    |
| <b>სულ ფინანსური შემოსავალი</b> | <b>15</b>                                             |

ფინანსური შემოსავალი წარმოადგენს ბანკში განთავსებულ თანხებზე დარიცხული პროცენტს.

**13. ფული და ფულის ექვივალენტები**

|                                            | 2017 წლის 31<br>დეკემბრის<br>მდგომარეობით | 2017 წლის 1<br>იანვრის<br>მდგომარეობით |
|--------------------------------------------|-------------------------------------------|----------------------------------------|
| ეროვნული ვალუტა სალაროში                   | 323                                       | 586                                    |
| ფული ბანკში, ეროვნული ვალუტა               | 67                                        | 120                                    |
| ფული ბანკში, უცხოური ვალუტა                | 130                                       | 36                                     |
| <b>სულ ფული და ფულის<br/>ექვივალენტები</b> | <b>520</b>                                | <b>742</b>                             |

2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ფული და ფულის ექვივალენტები 520 ლარს უდრის. საანგარიშგებო წლის ბოლოს ნაღდი ფული სალაროში 323 ლარია, ხოლო ფული ბანკში 197. აქედან 67 ლარი იყო ფული ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 130 ლარი უცხოურ ვალუტაში.

წლის განმავლობაში ჯგუფის კომპანიებისათვის მიმდინარე თანხებზე ეროვნულ ვალუტაში ერიცხებოდა 0%-5%-მდე სარგებელი. უცხოურ ვალუტაში საშუალოდ 0%-4% საპროცენტო სარგებელი.

**14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

|                                          | 2017 წლის 31<br>დეკემბრის<br>მდგომარეობით | 2017 წლის 1<br>იანვრის<br>მდგომარეობით |
|------------------------------------------|-------------------------------------------|----------------------------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                       | 1,309                                     | 1,507                                  |
| სხვა სავაჭრო მოთხოვნები                  | 4                                         | 1,665                                  |
| მოთხოვნები პერსონალის მიმართ             | 6                                         | 2                                      |
| გადახდილი ავანსები                       | 112                                       | 123                                    |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>    | <b>1,431</b>                              | <b>3,297</b>                           |
| სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი              | (436)                                     | (69)                                   |
| <b>წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b> | <b>995</b>                                | <b>3,228</b>                           |

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

**14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)**

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს უპროცენტო ვალებს. 2017 წელს ჯგუფს მოთხოვნების უმეტეს ნაწილს შეადგენდა სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც დაკავშირებულია ძირითად საქმიანობასთან. ჯგუფი ყოველი წლის ბოლოს ახდენს სავაჭრო მოთხოვნების შეფასებას და ქმნის შესაბამის რეზერვს. 2017 წლის განმავლობაში სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის თანხამ შეადგინა 436 ლარი.

წლის განმავლობაში სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებულმა უიმედო ვალების ხარჯმა შეადგინა 367 ლარი, რომელიც წარმოადგენს უიმედო ვალების ჩამოწერის შედეგად გაწეულ ხარჯს და ასევე, სხვა მოთხოვნების ჩამოწერის შედეგად გაწეულ ხარჯებს.

**15. სესხები**

ჯგუფს გაფორმებული აქვს სასესხო ხელშეკრულებები ბანკთან და დაკავშირებულ მხარესთან.

| სესხის გამცემი      | სესხის კლასიფიკაცია | ვალუტა | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 1 იანვარი |
|---------------------|---------------------|--------|------------------------|---------------------|
| ბანკი               | დახურული            | USD    | -                      | 5,418               |
| ბანკი               | დახურული            | USD    | -                      | 133                 |
| ბანკი               | მიმდინარე           | USD    | 425                    | -                   |
| ბანკი               | გრძელვადიანი        | USD    | 5,117                  | -                   |
| დაკავშირებული მხარე | გრძელვადიანი        | USD    | 466                    | 529                 |
| ბანკი               | გრძელვადიანი        | USD    | 2,618                  | 2,665               |
| ბანკი               | გრძელვადიანი        | USD    | 3,168                  | -                   |
| ბანკი               | დახურული            | GEL    | -                      | -                   |
| დაკავშირებული მხარე | დახურული            | GEL    | -                      | 165                 |
| ბანკი               | დახურული            | GEL    | -                      | 8                   |
| ბანკი               | დახურული            | EUR    | -                      | 788                 |
| ბანკი               | გრძელვადიანი        | EUR    | 1,435                  | 1,535               |
| ბანკი               | დახურული            | EUR    | -                      | 272                 |
| ბანკი               | გრძელვადიანი        | USD    | 609                    | 403                 |
| ბანკი               | გრძელვადიანი        | EUR    | 1,070                  | -                   |
| დაკავშირებული მხარე | მიმდინარე           | GEL    | 4                      | 4                   |
| ბანკი               | გრძელვადიანი        | GEL    | 42                     | -                   |
|                     |                     |        | <b>14,954</b>          | <b>11,920</b>       |

სს ვითიბი ბანკთან და სს საქართველოს ბანკთან არსებული სასესხო ხელშეკრულებების საფუძველზე დაგირავებულია ჯგუფის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები და შპს ისტ გეით გრუპის 43% იანი წილი შპს თეთრი ქალაქი პლუსის კაპიტალში.

შპს „ისტ გეით გრუპი“

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

---

### 16. კაპიტალი

#### 16.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენს მშობელი საწარმოს საწესდებო კაპიტალს, რომელიც უდრის 1,320 ლარს. 2017 წლის განმავლობაში მშობელი საწარმოს დამფუძნებლებმა მოახდინეს 4,202 ლარის გატანა და შემდეგ კაპიტალის 245 ლარით გაზრდა.

#### 16.2 დივიდენდები

2017 წლის განმავლობაში ჯგუფმა გამოაცხადა და გასცა დივიდენდი, ჯგუფში შემავალი კომპანიის შპს „ენკის“ თანამფლობელებზე, გიორგი შერაძესა და დავით მირცხულავაზე 292 ლარის ოდენობით. (აღწერილობითი პირები შპს „ენკიში“ ჯამურად ფლობენ 50%, თუმცა კომპანიაზე კონტროლი კვლავ ჯგუფის აქვს).

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

*თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული***17. ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

|                                    | მიწა         | შენობა<br>ნაგებობები,<br>მიმდინარე<br>მშენებლობა | მანქანა<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილ<br>ობა | ავეჯი და სხვა<br>ინვენტარი | ტრანსპორტი<br>რების<br>საშუალებები | სულ            |
|------------------------------------|--------------|--------------------------------------------------|------------------------|---------------------------|----------------------------|------------------------------------|----------------|
| <b>ისტორიული ღირებულება</b>        |              |                                                  |                        |                           |                            |                                    |                |
| <b>1 იანვარი 2017</b>              | <b>2,548</b> | <b>7,964</b>                                     | <b>6,923</b>           | <b>7</b>                  | <b>310</b>                 | <b>4,141</b>                       | <b>21,893</b>  |
| შემოსვლა                           | 1,740        | 862                                              | 284                    | 3                         | 79                         | 10                                 | 2,978          |
| ჩამოწერა                           | -            | -                                                | (18)                   | (6)                       | (21)                       | (12)                               | (57)           |
| გასვლა                             | (79)         | -                                                | (95)                   | (1)                       | -                          | (38)                               | (213)          |
| <b>31 დეკემბერი 2017</b>           | <b>4,209</b> | <b>8,826</b>                                     | <b>7,094</b>           | <b>3</b>                  | <b>368</b>                 | <b>4,101</b>                       | <b>24,601</b>  |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>             |              |                                                  |                        |                           |                            |                                    |                |
| <b>1 იანვარი 2017</b>              | <b>-</b>     | <b>(1,702)</b>                                   | <b>(728)</b>           | <b>(3)</b>                | <b>(168)</b>               | <b>(2,378)</b>                     | <b>(4,979)</b> |
| ცვეთა                              | -            | (419)                                            | (214)                  | (4)                       | (48)                       | (353)                              | (1,038)        |
| ჩამოწერა                           | -            | -                                                | 4                      | 3                         | 11                         | 31                                 | 49             |
| გასვლა                             | -            | -                                                | -                      | 1                         | -                          | -                                  | 1              |
| <b>31 დეკემბერი 2017</b>           | <b>-</b>     | <b>(2,121)</b>                                   | <b>(938)</b>           | <b>(3)</b>                | <b>(205)</b>               | <b>(2,700)</b>                     | <b>(5,967)</b> |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b> |              |                                                  |                        |                           |                            |                                    |                |
| <b>1 იანვარი 2017</b>              | <b>2,548</b> | <b>6,262</b>                                     | <b>6,195</b>           | <b>4</b>                  | <b>142</b>                 | <b>1,763</b>                       | <b>16,914</b>  |
| <b>31 დეკემბერი 2017</b>           | <b>4,209</b> | <b>6,705</b>                                     | <b>6,156</b>           | <b>-</b>                  | <b>163</b>                 | <b>1,401</b>                       | <b>18,634</b>  |

ჯგუფის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების უმეტეს ნაწილს შეადგენს შენობა ნაგებობები. შენობების წილი არის ადმინისტრაციული დანიშნულების, ხოლო უმეტესობა იჯარითაა გაცემული, რომლებითაც ხდება საოპერაციო შემოსავლის გამოიმუშავება, გამომდინარე იქიდან რომ ჯგუფის ერთერთი მთავარი საქმიანობაა შენობების გაქირავება აღნიშნული აქტივები კლასიფიცირებული არა როგორც საინვესტიციო ქონება, არამედ როგორც ძირითადი საშუალებები და შესაბამისად, შეფასებულია ფასს 16-ის მიხედვით. ძირითადი საშუალებების გარკვეული ნაწილი უკავია მიწის ნაკვეთებს, რომელიც მოიცავს 2017 წელს კახეთში შესყიდულ მიწებს. ჯგუფის ძირითადი საშუალებების გარკვეული რაოდენობა შეადგენს მანქანა-დანადგარებს. ჯგუფი ასევე ფლობს სატრანსპორტო საშუალებებს.

ჯგუფი ასევე ფლობს სპეციფიურ ძირითად საშუალებას, აგრეგატს, რომელიც გამოიყენება ელექტრო-ენერგიის გამოიმუშავების მიზნით და ჯგუფისთვის საკმაოდ მაღალი შემოსავლის მომტანია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება განისაზღვრება შეფასებული ღირებულების შემცირებით ცვეთის ღირებულების საფუძველზე, გარდა მიწისა, რომელსაც, სტანდარტის შესაბამისად, ცვეთა არ ერიცხება.

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

*თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

**18. სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

|                                           | 2017 წლის 31<br>დეკემბერი | 2017 წლის 1<br>იანვარი |
|-------------------------------------------|---------------------------|------------------------|
| სამშენებლო მასალები                       | 172                       | 282                    |
| სარკინიგზო მასალა                         | 153                       | 172                    |
| ნედლეული და მასალები                      | 28                        | 33                     |
| საწვავ-საპოხი მასალები                    | 12                        | 17                     |
| საქონელი                                  | 1                         | 21                     |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი         | 7                         | -                      |
| <b>სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები</b> | <b>373</b>                | <b>525</b>             |

ჯგუფის საკუთრებაში არსებული სასაქონლო მატერიალური მარაგების უმეტესობა შეადგენს სამშენებლო მასალებსა და ნედლეულს, რომელსაც იყენებენ რემონტისა და ინფრასტრუქტურის განახლების დროს. საწვავ-საპოხი მასალები დაკავშირებულია წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებების შენახვისა და მოვლისათვის.

**19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

|                                          | 2017 წლის 31<br>დეკემბერი | 2017 წლის 1<br>იანვარი |
|------------------------------------------|---------------------------|------------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                    | 161                       | 381                    |
| ვალდებულებები პერსონალის მიმართ          | 35                        | 35                     |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები          | 126                       | 180                    |
| მიღებული ავანსები                        | 7                         | -                      |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b> | <b>329</b>                | <b>596</b>             |

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის სავაჭრო ვალდებულებები შეადგენდა 161 ლარს. სავაჭრო ვალდებულებების გარდა ჯგუფის წევრებს ერიცხებათ ვალდებულებები პერსონალის მიმართ და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთის“ წილი იყო 221 ლარი.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

---

### 20. პირობითი ვალდებულებები

#### საგადასახადო დაბეგვრა საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები. ოფიციალური გამონათქვამები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და სხვადასხვა ინტერპრეტაციას ექვემდებარება. პრაქტიკულად, არ იქნება შესაძლებელი დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ წინა სამი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგიერთ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას.

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ მიერ აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები შესატყვისობაშია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან, თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენა ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუ შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაცია იყო მართებული, მათი ინტერპრეტაციის განხორციელებისას, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკი.

ყოველი საანგარიშგებო თარიღის მიხედვით ხელმძღვანელობა ახდენს საგადასახადო რისკების შეფასებას და განიხილავს იმ შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება შესწავლილ იქნას საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ. როდესაც ამის რისკის დადგომის ალბათობა იქნება მაღალი, ჯგუფი შექმნის შესაბამის რეზერვებს.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

### 21. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

#### 21.1 ტრანზაქციები მენეჯმენტთან

დამფუძნებლებსა და მენეჯმენტზე გაცემულ ხელფასებს 2017 წელს ჰქონდა შემდეგი სტრუქტურა:

|                                                                                | 2017 წლის<br>31 დეკემბრით<br>დასრულებული<br>წლისათვის |
|--------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------|
| დამფუძნებლისა და მენეჯმენტის ხელფასი და პრემია                                 | 869                                                   |
| დამფუძნებლისა და მენეჯმენტის სხვა სარგებელი (დაზღვევა)                         | 10                                                    |
| <b>სულ დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ხელფასი და სხვა<br/>სარგებელი</b> | <b>879</b>                                            |

#### 21.2. დაკავშირებულ მხარეებზე გაწეული ხარჯები

##### ტრანზაქციები

პროდუქციის და მომსახურების შეძენა ჯორჯიან ტრანს  
ექსპედიციისგან (ა)

**სულ ხარჯი დაკავშირებული მხარეებთან ტრანზაქციების შედეგად**

| 2017 წელი |
|-----------|
| 42        |
| <b>42</b> |

(ა) შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია“ არის დაკავშირებული მხარე, რადგან კომპანიის თანამფლობელები ასევე ფლობენ წილს შპს „ისტ გეით გრუპი“.

#### 21.3. სესხები

ჯგუფს აქვს გრძელვადიანი სესხი (შენიშვნა 15) დაკავშირებული მხარისაგან, შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიციისაგან“. (გაცემული 2015 წელს, 200 დოლარის ოდენობით). 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ძირი თანხა შეადგენდა 466 ლარს და მასზე დარიცხული პროცენტი შეადგენდა 28 ლარს.

შპს „ისტ გეით გრუპი“

## **ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

*თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

---

### **22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო წლის შემდგომ პერიოდში მოხდა შემდეგი ტრანზაქციები: შპს „ენკიმ“ ასევე გასცა დივიდენდები არა-მაკონტროლებელი წილის მფლობელებზე, გიორგი შერაძეზე და დავით მირცხულავაზე, 129 ლარის ოდენობით.

2018 წელს 147 ლარი დაიხარჯა ფოთის ტერმინალის კეთილმოწყობაზე, რომელიც დაკაპიტალიზდა.